პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით!

საქართველო

№ 246 (5276)

1974 წ. 12 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისი — 74

ქულები გაიყვეს

ტალინი, 10 დეკემბერი. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა „კალევისა“ და მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელთა მეორე მატჩიც. ტალინ მოსკოველებმა ერთი ზუსტი სროლით მოიგეს (45:43). მეორე ნახევარში ინიციატივა ესტონელთა მხარეს გადავიდა, რომელებმაც აიღეს კიდეც გუშინდელი მარცხის რევანში — 80:75.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	10	9	1	896-722	9
„დინამო“ (თბ.)	10	9	1	874-826	9
ცსკა	10	8	2	966-819	8
„დინამო“ (მ.)	10	8	2	850-725	8
„უალგირისი“	12	8	4	1035-1002	8
„კალევი“	10	4	6	814-813	4
„სტროიტელი“	8	2	6	664-697	2
„სტატიბა“	10	2	8	786-896	2
რტი	10	1	9	775-918	1
„ურალმაში“	14	1	13	1110-1352	1

საზეიმოდ გააცილეს

ამას წინათ ზესტაფონის „მეტალურგის“ სტადიონზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა და ადგილობრივი „მეტალურგის“ ამხანაგურ მატჩს. საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

მატჩის დამთავრების შემდეგ ზესტაფონის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გულთბილი გაცილება მოუწყო ადგილობრივი „მეტალურგის“ მოთამაშეს გ. ტოგონიძეს, რომელიც თითქმის 20 წლის მანძილზე შეუცვლელად იცავდა თავისი კოლექტივის ღირსებას, საქართველოს აკაკ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. შერგელაშვილმა გ. ტოგონიძეს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და საპატიო სიგელი.

ა. განუბრავა.
(ჩვენი კორ.).

საქართველოს სპორტი

✦ ყვარელი

დამთავრდა რაიონის მოსწავლე ფეხბურთელთა პირველობის გათამაშება, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა.

შეჯიბრება 18-18 ქულით დაამთავრეს ახალსოფლის მე-2 და შილდის 1-ლი საშუალო სკოლების გუნდებმა. დამატებითი შეხვედრა მოიგეს ახალსოფლელებმა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ დ. ღოღაძეს, ს. მალაქოვს, თ. ჯიღაურს, ვ. ზუბიტაშვილს, ო. სირაძეს.

რ. ვეტრეველი.

✦ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 34-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“ — 11 (ვოლსპორტი), 14 (ფრენბურთი), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 21 (საცხენოსნო სპორტი), 32 (წყალში ხტომა), 36 (სლალომი).

„სპორტლოტო-2“ — 3 (აკრობატიკა), 30 (აეროსნობა), 40 (ტურიზმი), 43 (ფარიკაობა), 45 (ფეხბურთი), 49 (შაში).

თასი „პარტიზანმა“ მოიპოვა

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. იუგოსლავიის დედაქალაქის „ბანიცის“ საწყლოსნო აუზში გაიმართა წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების გადამწყვეტი შეხვედრა. ითამაშეს ბელგრადის „პარტიზანმა“ და ბუდაპეშტის ოშც-ს გუნდმა. თავიდანვე მასპინძლები დაწინაურდნენ — 2:0, შემდეგ სტუმრებმა მდგომარეობა გამოასწორეს, მაგრამ იუგოსლავიელი წყალბურთელები მონდომებით თამაშობდნენ და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 6:2.

წლევანდელმა თასის მფლობელმა ჯანამდე ამავე აუზში გამართულ ფინალურ ტურნირში სძლია ჰოლანდიის „დენ როგენს“ (7:4) და ბუქარესტის „დინამოს“ (7:6). აღსანიშნავია, რომ ბელგრადის „პარტიზანმა“ აქამდე ჩატარებული 12 გათამაშებიდან ხუთში მოიხვეჭა საპატიო ჯილდო.

XI ᲢᲣᲠᲘ. ს. ᲑᲝᲮᲝᲡᲘᲐᲜᲘ (ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ) — ვ. ᲜᲘᲩᲔᲕᲚᲘ (ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) 0,5:0,5, გ. ᲚᲔᲑᲠᲘᲔᲓᲘ (ᲙᲣᲑᲐ) — ე. ᲒᲣᲨᲔᲚᲔᲓᲘ 0:1, ბ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ (ᲠᲘᲒᲘᲡᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — რ. ᲙᲘᲜᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ) 1:0, ა. ᲨᲜᲐᲠᲘᲙᲘ (ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ) — რ. ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲘ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) 0:1, ე. ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — ვ. ᲑᲐᲒᲘᲠᲝᲕᲘ (ᲑᲐᲩᲕᲝ) 0,5:0,5, თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — გ. ᲡᲘᲒᲣᲠᲘᲝᲜᲡᲝᲜᲘ (ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 1:0. ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ვ. ᲨᲘᲓᲢᲘ (ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ) — ვ. ᲩᲝᲘᲚᲔᲢᲘᲐ (ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ) ᲓᲐ 5. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — ა. ᲢᲣᲖᲝᲕᲡᲙᲘ (ᲮᲝᲑᲣᲛᲘ) ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝᲛ.

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ. ტუზოვსკი — უბილავა 0:1, ხოლმოვი — შიდტი 0,5:0,5.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ე. გუფელდი, თ. გიორგაძე — 7-7, ვ. ბაგიროვი, გ. სიგურიონსონი — 6,5-6,5, ე. უბილავა, რ. კინი — 6-6.

მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა გიორგაძე, როცა მას ერთპიროვნული ლიდერი სიგურიონსონი დანებდა.

— ეს მე ავაგულიანე თამაში, რომ აქტიურად ეთამაშა. გეყოფა ყაიმებიმეთქი, ვუთხარი, — თქვა ახალგაზრდა მოჭადრაკის მწვრთნელმა, წარსულში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, ოსტატმა ა. ბლაგიძემ.

ჭეშმარიტად, საუცხოოდ ითამაშა გიორგაძემ. დასაწყისში, უკვე მე-4 სვლაზე, მან პაიკი შესწირა და ინიციატივას მტკიცედ დაეუფლა. გარკვეულ წომენტამდე ისლანდიელი ოსტატი სწორად აგებდა დაცვითს პოზიციას, მაგრამ მერე თავშესაფარი ვეღარ მოუნახა საკუთარ მეფეს, რომელიც ცენტრში დარჩა და მუდმივი საზრუნავი შეიქნა. ამასობაში გიორგაძემ მარაოსავით გაშალა ფიგურები და შეტევა დაიწყო. როგორც ჩანს, სიგურიონსონმა სამიშროება ვერ იგრძნო, მეორე პაიკი აიყვანა. ეს კი საბედისწერო შეცდომა გახლდათ. თბილისელი ოსტატის ფიგურებმა შავების პოზიციას შეუტიეს. გიორგაძემ ორი ხარისხის შეწირვით შექმნა ძლიერი გამსვლელი პაიკი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა.

მემორიალის მსაჯმა, უხუცესმა სამჭოთა ოსტატმა ნ. სოროკინმა გაიხსენა:

— 20-იან წლებში ცნობილი რუსი დიდოსტატი ბოგოლიუბოვი ამბობდა და ამტკიცებდა კიდეც, რომ b2 ან b 7 პაიკის ნაადრეგ აყვანას მუდამ წაგება მოჰყვება. ამ აზრის სისწორეში ალბათ სიგურიონსონიც დარწმუნდა.

როგორღაც შეუმჩნევლად მოიგო გუფელდმა. ძველინდურ დაცვაში მან იერიში მიიტანა ლებრედოს მეფეზე. ეს თავდასხმა ზედმეტი ფიგურის შეძენით დამთავრდა.

ხოლმოვი პოზიციური ყაიდის დიდოსტატია. ახალგაზრდა შნაპიკი, ესპანურ პარტიაში თეთრებით ინიციატივა რომ დაკარგა, მოსკოველი დიდოსტატის პოზიციურ მარწუხებში მიექცა. ეს საკმარისი იყო ხოლმოვის გამარჯვებისთვის.

დიდი ბრძოლა გააჩაღეს გურგენიძემ და კინმა. უფიცვეის დაცვაში ქართველმა დიდოსტატმა ინგლიელ კოლეგას რთული ამოცანების გადაწყვეტა შესთავაზა. ბოლოს ორივენი ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. კინმა გაარღვია თავი დაცვას, სადაც ბრძოლა გადავიდა ოთხი ეტლის ენდშპილში. გურგენიძემ ვონებამახვილური კოსტრთამაში გააჩაღა. პარტია გადაიდო, მაგრამ გუშინ კინი თამაშის განუახლებლად დანებდა. მას წასაგები სვლა ჩაეწერა.

გაფრინდაშვილმა და ტუზოვსკიმ თითქმის მთელი პარტია ენდშპილის თამაშში გაატარეს. ბრძოლა თანაბარი იყო. მხოლოდ პარტიის გადადების წინ სოხუმელმა მოჭადრაკემ უსწოროდ ითამაშა და ინიციატივას მსოფლიო ჩემპიონი დაეუფლა, გადადებულ პოზიციაში, რაკი ცოტა ფიგურაა დარჩენილი, ამ უპირატესობის გამოყენება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ჩოკილტიას შიდტთან შეწყვეტილ პოზიციაში ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შანსი აქვს.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მემორიალის მონაწილეთა ერთი ჯგუფი მცხეთაში ექსკურსიის დროს.

ნ. სოროკინის ფოტო.

ᲤᲘᲨᲔᲠᲘ ᲗᲣ ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ?

ეს კითხვა ახლა აღელვებს ყველას, ვინც თვალყურს ადევნებს ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლას. მართალია, პრეტენდენტის ვინაობა ცნობილია, მაგრამ არავინ იცის, მოისურვებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონი რ. ფიშერი თავისი ტიტულის დაცვას. ოფიციალურად მან ტიტულზე უარი გაიცხადა, მაგრამ ფიქრობენ, რომ მაინც მიუჯდება დაფას ა. კარპოვთან მატჩის სათამაშოდ.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში „ლელოს“ კორესპონდენტს, როცა ვ. გოგლიძის III მემორიალის მონაწილეებს მიმართა ერთი კითხვით: ვინ გაიმარჯვებს — ფიშერი თუ კარპოვი?

გთავაზობთ დიდოსტატებისა და ოსტატების პასუხებს:

ბ. ᲑᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ: ფიშერი.

Ე. ᲒᲣᲨᲔᲚᲔᲓᲘ: ისეთი იღბალი მაქვს, ვისაც გამარჯვებას ვუწინასწარმეტყველებ, ის აგებს. ამიტომ ვამბობ: ფიშერი. იმედი მაქვს, არც ამჯერად მოვტყუვდები.

რ. ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲘ: რა თქმა უნდა, ფიშერი.

ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ფიშერი თუ, რასაკვირველია, ფორმაში იქნა. მას სამი წელია სატურნირო პარტია არ უთამაშია.

Ვ. ᲩᲝᲙᲘᲚᲢᲘᲐ: ფიშერი.

Ვ. ᲑᲐᲒᲘᲠᲝᲕᲘ: მატჩი არ შედგება.

რ. ᲙᲘᲜᲘ: ფიშერი, თუ ითამაშა.

Ლ. ᲑᲝᲮᲝᲡᲘᲐᲜᲘ: ფიშერის უპირატესობა მხოლოდ ერთი პროცენტით. კარპოვი იშვიათად აგებს პარტიას. ამიტომ, ვფიქრობ, დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

Ვ. ᲨᲘᲓᲢᲘ: ფიშერი, თუ მატჩი შედგა.

Ა. ᲨᲜᲐᲠᲘᲙᲘ: მცირე უპირატესობას ფიშერს ვანიქებ.

Ე. ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ: ფიშერი.

Თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ: კარპოვი.

გ. ᲚᲔᲑᲠᲔᲓᲘ: ძნელი კითხვაა. არავინ იცის ფიშერის დღევანდელი ძალა. კარპოვი ახალგაზრდა და შეზარდი მოჭადრაკეა. მატჩის დროს იგი უფრო ძლიერად ითამაშებს.

Ვ. ᲜᲘᲩᲔᲕᲚᲘ: ძნელი გამოსაცნობია. კარპოვიც გენიოსია.

გ. ᲡᲘᲒᲣᲠᲘᲝᲜᲡᲝᲜᲘ: ფიშერი.

Ა. ᲢᲣᲖᲝᲕᲡᲙᲘ: კარპოვი.

ამ გამოკითხვის დროს დარბაზში **ნ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ** გამოჩნდა. როცა აზრის გამოთქმა ვთხოვეთ, მან გვიპასუხა: გაიმარჯვებს ფიშერი.

ლიდერობა დაკარგეს

ლენინგრადში გრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 42-ე სკკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი.

VIII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები ა. ბელიავსკი (ლვოვი) და ლ. ზოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი). შეხვედრა ჰოლუგაევსკიმ მოიგო. სხვა შეხვედრებში ვ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) სძლია ვ. კუპრეიჩიკს (მინსკი), ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) — ო. რომანინშინს (ლვოვი), რ. ვაპანიანმა (ერევანი) — კ. გრიგორიანს (მოსკოვი). ყაიმით დამთავრდა ბ. გულკო (მოსკოვი) — ლ. ალბურტის (ოდესა), გ. კუზმინ (ვოროშილოვგრადი) — ვ. სავონისა (ხარკოვი) და მ. დვორეცკი (მოსკოვი) — მ. ტალმანოვის (ლენინგრადი) პარტიები. გადადიო მ. ტალ (რიგა) — ი. ბალაშოვის (მოსკოვი) შეხვედრა.

8 ტურის შემდეგ ლ. ჰოლუგაევსკის 5,5 ქულა აქვს, ა. ბელიავსკის — 5, გ. კუზმინსა და რ. ვაპანიანს — 4,5-4,5.

დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს!

თბილისში ბოლო ხანებში გახშირდა ლაპარაკი სპორტის მთელ რიგ სახეობებში პოზიციების დათმობაზე. შედეგების გაუარესებაზე. ალბათ ალარავინ შეუძლია იმის უარყოფა, რომ მძლეოსნობაში, ცურვაში, ფრენბურთში და სხვა სახეობებში ტალანტები, სპორტსმენები, რომლებიც დედაქალაქისა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შეავსებენ, ალარ ჩანან, ვეღარ ვხედავთ ნიჭიერ მოზარდებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ორიოდე წლის შემდეგ სპორტში უფროსი კოლეგების ადგილები დაიკავონ.

მიზეზს ყველგან ვეძებთ, ვამბობთ, რომ პირველხარისხოვანი სტადიონების, დარბაზების, მოედნების, აუზების, ბილიკებისა და სექტორების ქსელი კი არ ფართოვდება, პირიქით, წლიდან წლამდე მცირდება. ეს სწორია მწვრთნელები უწინდებურად მთელი დატვირთვით ვეღარ მუშაობენ, სკოლებში არ დადიან, პატარებში არ ეძებენ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულებს, სპორტსკოლებში შემთხვევით მოხვედრილ, ხშირ შემთხვევაში უპერსპექტივო ბავშვებთან მუშაობაში კარგავენ დროს ჭეშმარიტებას არც ეს არის მოკლებული.

მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პირველხარისხოვანი სპორტული ბაზები კი არა, დედაქალაქში, მის მიკრორაიონებში. ასობით მარტივი და საბავშვო მოედანი გვაკლია; შშენებლობის დამპროექტებელი ორგანიზაციები, მთავარი არქიტექტურულ დაგეგმარებითი სამმართველო, რაიონული საბჭოების აღმასკომები და სამშენებლო ორგანიზაციები არ ასრულებენ საკავშირო და რესპუბლიკური სადერეტექტივო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს „ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს მიკრორაიონებში სპორტული ობიექტების სავალდებულო მშენებლობის შესახებ" და „რესპუბლიკის ქალაქებში სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოების ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე".

პირიქით, თბილისის ბევრ მიკრორაიონში არსებული სპორტული ნაგებობანი დაანგრიეს; მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ძალიან ჩამორჩა; ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა ჯანმრთელობის კლუბებმა, დიდწის მასივში — „დილამ", ორჯონიკიძის რაიონში — „დელისმა", ახლანდელ საქარხნო რაიონში — „გაზაფხულმა".

ჯანმრთელობის სახალხო კლუბების შექმნა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ვეტერან-აქტივისტთა თაოსნობა იყო და მას ბბარდაჭერა, განზოგადება სჭირდებოდა. მართალია, ერთხანს ამ თაოსნობამ სათანადო მხარდაჭერა რესპუბლიკაში მართლაც ეოვა, მაგრამ შემდეგ, როცა ამ კლუბებმა რაიონული საბჭოების აღმასკომებისგან სათანადო დახმარება ვერ მიიღეს, პოზიციები თანდათან დათმეს.

სწორედ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალი დონე უნდა იყოს ნორჩი ტალანტების გამოვლინებისა და აღზრდის პირველი წყარო. მოზარდებმა სწორედ ეზოების, უბნების, მიკრორაიონების სპორტულ მოედნებზე, აუზებში უნდა ისწავლონ ტბომა, სირბილი, თამაში, ცურვა, სწორედ ეს მოედნები უნდა გადაიქცეს მშრომელთა გაჯანსაღების პირველ კერებად.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოებს, საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორებს, პედაგოგ-ინსპექტორებსა და პედაგოგ-ორგანიზატორებს მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის ყველა შესაძლებლობა თავიდანვე სათანადოდ რომ გამოეყენებინათ, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მშრომელთა მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში და, აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებაში მთელ რიგ სახეობებში საკადრო სურათი არ გვექნებოდა.

თბილისის მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში შექმნილი მდგომარეობა სათანადო დაფიქრებასა და ღონისძიების გატარებას მოითხოვდა. სწორედ მოიქცა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომელმაც ეს საკითხი ამ დღეებში სპეციალური მსჯელობის საგნად აქცია და შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისთვის სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღო.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დედაქალაქის ფიზკულტურული, კომკავშირული და საბინაო-კომუნალური ორგანოები მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გარკვეულ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას ატარებენ. ტრადიციად იქცა და ყოველწლიურად ეწყობა შეჯიბრებები „ტუკვის ბურთის" პრიზზე, ტარდება ჯანმრთელობის სპარტაკიადები და ღონისძიებები სპორტის ცალკეულ სახეობებში, მიკრორაიონებსა და ეზოებში ბოლო წლებში აშენდა და შეკეთდა მთელი რიგი სპორტული და საბავშვო მოედნები.

მაგრამ მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ ეპასუხება ამ საკითხის დიდ შესაძლებლობებს. არც ერთ საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორასთან არ ტარდება მუშაობა შშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადებისა და ჩაბარებისთვის.

საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ჩაშლილია, შექმნილი არ არის ჯანმრთელობის ჯგუფები. საბინაო კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორების ტერიტორიაზე არსებული სასწავლებლების, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა ორგანიზაციების სპორტული ბაზები გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის გამოყენებული არ არის. საშუფო ორგანიზაციები საექსპლოატაციო კონტორებს სათანადოდ ვერ ეხმარებიან სპორტული ბაზების შენებლობა-მოწყობასა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციაში.

თბილისში მომუშავე 89 პედაგოგ-ორგანიზატორიდან ფიზკულტურული განათლება მხოლოდ ორს აქვს. უმრავლესობას წარმოდგენა

თბილისი აქვს ...

გადაწყვეტილების შესრულებისთვის

აქვს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ელემენტარული საკითხებზე. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, საბინაო მეურნეობის რაიონული და საქალაქო სამმართველოები პედაგოგ-ორგანიზატორებს სათანადოდ არ ეხმარებიან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესწავლაში.

ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილების საკონსტატაციო ნაწილში ლაპარაკია, აგრეთვე, ამ მიმართებით ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკების, სამედიცინო დაწესებულებების, საზოგადოება „ცოდნის" საქალაქო გაგების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, იმაზე, რომ თბილისის რაისაბჭოს აღმასკომები ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს, საბინაო მეურნეობის სამმართველოებს, საექსპლოატაციო კონტორებს სათანადო დახმარებას არ უწევენ მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაშლასა და გაუმჯობესებაში, აღმასკომების სხდომებზე იშვიათად მსჯელობენ ამასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არ ღებულობენ ქმედითს ზომებს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით „ყოფა-მუნჯთა" საზოგადოებას იმ წელიწადს უნდა აღშენებინა ორი სპორტული დარბაზი, ქალათბერთისა და ფრენბურთის მოედნები, ხოლო ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს — სხვადასხვა სახისა და ტიპის 50 სპორტული მოედანი. მაგრამ გადაწყვეტილება არც ერთს არ შეასრულებია. საბურთალოს მასივის VI კვარტალის საბინაო და კომუნალური მომსახურების № 74-ე საექსპლოატაციო კონტორის საჭუმბალეთო, რომლის შენებლობა დიდი ხანია დამთავრდა, საექსპლოატაციოდ დღემდე არ გადაუცია.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ისიც, რომ რაიაღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოები ბინის ქირის 8 და არასაცხოვრებელი ფართობის გადასახადის 5 პროცენტს, რაც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობას შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაფართოებას უნდა მოხმარდეს, საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორებზე, ხშირად არასწორად ანაწილებენ. ეს თანხა დანიშნულებისამებრ არ იხარჯება.

მაგალითად, კალინინის რაიონის № 62 საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორას წლეულს 640, ხოლო № 61 კონტორას — 620 მანეთი გამოიყო, შარშანდელი სამი და ორი ათასი (შესაბამისად) მანეთის ნაცვლად. პირველი მაისის რაიონში მოსახლეობას შორის მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული 12 ათასი მანეთიდან მხოლოდ 5800 მანეთი დახარჯეს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ამ წელს 64 ათასი მანეთი აქვს დახარჯული.

ლენინის, პირველი მაისის, ორჯონიკიძის, საქარხნო და თბილისის სხვა რაიონებში მთელი რიგი სპორტული და საბავშვო მოედნები მოუვლელი და კეთილმოუწყობელია. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები, რაიაღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოები, საბინაო და კომუნალური მომსახურების კონტორები, პედაგოგ-ინსპექტორები და პედაგოგ-ორგანიზატორები მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადოდ წარმართვისთვის ჯერ კიდევ ვერ

ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როცა ახალი საცხოვრებელი კორპუსები, მიკრორაიონები და მთლიანად საცხოვრებელი მასივებიც კი საექსპლოატაციოდ სპორტული და საბავშვო მოედნებისა და საცურაო აუზების გარეშე ბარდება, მაგრამ აშენებისთვის კი აღარავითარი ღონისძიება აღარ ხორციელდება.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა კომუნალური და სამშენებლო სამუშაოს შესრულების დროს მწყობრიდან გამოვიდა დიღმის მასივის VI კვარტალში მე-12 კორპუსის წინ არსებული სპორტული მოედანი, რომელიც „ცეკავშირის" № 1 სამშენებლო სამმართველოს დღემდე არ აღუდგენია.

„ქალაქ თბილისში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-11 შოწვევის საქალაქო საბჭოს V სესიის 1968

საღებელ მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. არ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 26 დეკემბრის დადგენილება „ყველა სახელმმართველოებასთან ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის საზოგადოებრივი საბჭოების შექმნის შესახებ.

ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როცა ახალი საცხოვრებელი კორპუსები, მიკრორაიონები და მთლიანად საცხოვრებელი მასივებიც კი საექსპლოატაციოდ სპორტული და საბავშვო მოედნებისა და საცურაო აუზების გარეშე ბარდება, მაგრამ აშენებისთვის კი აღარავითარი ღონისძიება აღარ ხორციელდება.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა კომუნალური და სამშენებლო სამუშაოს შესრულების დროს მწყობრიდან გამოვიდა დიღმის მასივის VI კვარტალში მე-12 კორპუსის წინ არსებული სპორტული მოედანი, რომელიც „ცეკავშირის" № 1 სამშენებლო სამმართველოს დღემდე არ აღუდგენია.

„ქალაქ თბილისში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-11 შოწვევის საქალაქო

ბინაო-კომუნალური

...

...

...

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ-ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲝᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ:

1. დაევალოთ თბილისის რაისაბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოებს, საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორებს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებთან ერთად ქალაქის ყველა საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორასთან წლის ბოლომდე შექმნან ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის საზოგადოებრივი საბჭოები; ამ საბჭოების მუშაობაში აქტიურად ჩაებან საბინაო და კომუნალური მომსახურების კონტორების ტერიტორიაზე მცხოვრები სპორტის ვეტერანები, პენსიონერები, სპორტსმენები, — სამედიცინო დარგის მუშაკები, სამეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პედაგოგ-ორგანიზატორები; მათი დახმარებით ფართოდ გამალონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით მოზარდებში, სამუალო და უფროსი ასაკის მობინადრეებში; მოაწყონ და შეაკეთონ საცხოვრებელი მასივებში, მიკრორაიონებსა და ეზოებში სპორტული და საბავშვო მოედნები; ჩაებან მოსახლეობა ჯანმრთელობის, საერთო ფიზწამზადების ჯგუფებში, მშდ კომპლექსის ნორმატივების მოზადებასა და ჩაბარებაში; ჩაატარონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები ადგილობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით მოზარდებში, სამუალო და უფროსი ასაკის მობინადრეებში; მოაწყონ და შეაკეთონ საცხოვრებელ

საიმედო ცვლა არ ჩანს

ამ ბოლო ხანს მაგიდის ჩოგბურთში რესპუბლიკური ჩემპიონატები შეუფერებელ დარაჯებში ტარდებოდა და საზეიმო განწყობილებაც, რა თქმა უნდა, აკლდა. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისი იყო თბილისის ფარიკაობის დარბაზში გამართული საქართველოს წლევანდელი პირველობა. ნორმალურმა, თაობაბარმა განათებამ და ვრცელმა სასპორტო არემ მცირე ჩოქნის ოსტატებს ყველა პირობა შეუქმნა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისთვის.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, დუშეთისა და თელავის 64 ჩოგბურთელმა. სამწუხაროდ, სარბიელზე ვერ ვიხილეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ბათუმელი ხ. სარხოიანი, რომელიც ქვეყნის ნაკრებშია მიწვეული.

წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთმა მარშანდელმა გამარჯვებულმა ვერ შეძლო უძლიერესის სახელის ¯ენარჩუნება.

როგორც მუდამ, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთეულთა შეხვედრებმა. ბათუმელმა ოსტატმა ქალმა ს. პარფინიდიმ წლეულს მნიშვნელოვან





სურათებზე: ზევიდან ქვევით — ს. პარფინიდი, ლ. ჯარაპეტიანი, ჯ. დუჩიძე და ნ. მიღდისოვი.

გ. ახალაძის ფოტოები.

წარმატებებს მიაღწია: ჯერ იყო და კარგად იასპარეზა საკავშირო პირველობაში, მერე კ. კაუნასში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გაიდა. ამიტომაც წარმატებას მას უწინასწარმეტყველებდნენ. მართლაც, პარფინიდიმ, აგრეთვე, თბილისის ჩემპიონმა სპორტის ოსტატმა მ. პაპუკაშვილმა ყველა მეტოქე დაამარცხა და გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ.

პირველი ხელი თბილისელმა მოიგო — 21:18. პაპუკაშვილი მეორე პარტიაშიც დაწინაურდა — 12:6, მაგრამ აჩქარდა და რამდენიმე ბურთი „ბადეში“ გაუშვა. პარფინიდიმ არათუ გაათანაბრა ანგარიში, არამედ დაწინაურდა კიდეც 15:13, 19:17. ამ კრიტიკულ მომენტში თბილისელმა მაინც შეძლო ინიციატივის ხელში აღება და შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 23:21.

22 წლის მ. პაპუკაშვილმა (მწვრთნელები რ. გალუსტოვი და ვ. მურჯოდოვი) პირველად მოიპოვა უძლიერესის ტიტული. III ადგილზე ბათუმელი ლ. კარაპეტიანი გავიდა.

ვაჟთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა თ. რამაზაშვილმა (მწვრთნელი რ. ცაგარელი), ფინალში მან შედარებით იოლად დაამარცხა თანაგუნდელი სპორტის ოსტატი ჯ. მელაძე. მესამე იყო პ. ეფიმოვი (თბილისი).

კარგის მეტი რა გვეთქმის ჩემპიონის მიმართ, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას ვერავინ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა. სამწუხაროდ, საიმედო ცვლა არ ჩანს. 2-3 წელიწადში „მოხუცების“ მოწინავე ჯგუფი გამოეთხოვება აქტიურ სპორტს და მაშინ უფრო ცხადად გამოჩნდება ჩვენი მაგიდის ჩოგბურთის გასაჭირი.

მეტი ყურადღება ბავშვებთან მუშაობას! სხვა საკითხებთან ერთად სწორედ ამაზე გამახვილდა ყურადღება საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პლენუმზე, რომელიც წინ უძღოდა ჩემპიონატს.

მთელი წლის განმავლობაში ჩვენი სპორტსმენები 3-4 ტურნირში თამაშობენ. ეს კი, დაგვეთანხმებით აშკარად ცოტაა როგორც ტექნიკური, ისე ფიზიკური სრულყოფისთვისაც. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგჭირდება: წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მელაძე სამ შეხვედრაში იყო წინ, ხოლო პაპუკაშვილი — ორში — 2:1. მაგრამ სწორედ გამოცდილებისა და ფიზიკური მოუმზადებლობის გამო ვერ შეძლეს ორთაბრძოლების მოგება (საკავშირო შეჯიბრებაში შეხვედრები სუთი პარტიისგან შედგება).

ახლა ისევ ჩვენს პირველობას დავუბრუნდეთ. მერე პაპუკაშვილმა და რამაზაშვილმა წარმატება იზეიმეს შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. ფინალში მათ მოუგეს პარფინიდი — გ. სარხოიანის დუეტს. III ადგილი ა. სუჯაშვილსა და ჯ. მელაძეს ხვდათ.

სენსაცია შეიძლება გუწოდოთ ვაჟთა წყვილების ფინალს, სადაც იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ფავორიტებმა — რამაზაშვილმა და მელაძემ ზერელედ დაიწყეს შეხვედრა ჯ. დუჩიძისა (რუსთავი) და ნ. მიღდისოვის (თბილისი) წინააღმდეგ. შედეგმაც არ დააყოვნა. მესამე პარტიაში ისინი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერი გაიწყვეს მეტოქეთა შეხმატკბილებულ დუეტთან. ჩემპიონებიდან დუჩიძე (მწვრთნელი რ. ჯიბღაშვილი) ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია, ხოლო მიღდისოვი (მწვრთნელი რ. ცაგარელი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტისა.

III ადგილი ზ. უკლებას და რ. დოლიძეს (ორივე — ბათუმი) ხვდათ. ბათუმელებმა ერთადერთი პირველი ადგილი მოიპოვეს ქალთა წყვილების შეჯიბრებაში. ფინალში პარფინიდიმ და კარაპეტიანმა დაჯაბნეს ნ. ოლეინიკოვა და ნ. გოზალიშვილი. მესამე იყო სუჯაშვილ — პაპუკაშვილის (ყველა — თბილისი) დუეტი.

გუნდური პირველობა დამაჯერებლად მოიგეს თბილისელებმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი გ. მელაძე). მათ 232 ქულით გაუსწრეს II ადგილზე გასულ აჭარლებს (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. გუგუშვილი) და რევანში აიღეს შარშანდელი დამარცხებისთვის. III საპრიზო ადგილი ქუთაისის კოლექტივმა (მწვრთნელი ი. ნაცვლიშვილი) მოიპოვა.

გ. ახალაძე,
საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ბულგარეთის მხატვრული ტანვარჯიშის ვარსკვლავი, მსოფლიოს საგაზის აბსოლუტური ჩემპიონი მ. გიგოვა დიდ სპორტს გამოეთხოვა. მაყურებლის წინაშე იგი უკანასკნელად სოფიაში ინტერვიზიის თასზე გამართული საერთაშორისო ტურნირის გახსნის დროს გამოვიდა. მ. გიგოვა ბულგარეთისა და სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

სურათზე: მ. გიგოვა საბოლოო პროგრამის შესრულების შემდეგ.

ბ ტა — საკ ესის ფოტო.

ხოხრა უშბა და არა მაზერი

1959 წელს გამოვიდა კრებული „კავკასიონზე“, რომელშიც შესულია საბჭოთა მთამსვლელობის პიონერთა დღიურები. კრებულში შეტანილია დ. მიქელაძის 1925 წლის ჩანაწერებიც. ამ დღიურებში ბევრი საინტერესო ცნობაა მოცემული, რომელთაგან ერთ-ერთს კრებულის შემდგენელთა უმართებულო შენიშვნა აქვს დართული.

დ. მიქელაძე ერთგან აგვიწერს უშბის მიდამოებს სოფელ გულის მხრიდან, ეს იგი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან: ჩრდილოეთით კი ჩვენს პირდაპირ აზიდულია ორწვერა უშბა, რომელსაც სვალ კიდევ უფრო მივუახლოვდებით. ეს არის ეგრეთ წოდებული დიდი უშბა, ანუ სვანურად „ხოშა უშბა“. მის მარცხნივ კი მისივე მსგავსი პატარა უშბაა, ანუ სვანურად „ხოხრა უშბა“ („ხოშა“ — დიდი, „ხოხრა“ — პატარა).

სწორედ ამ ადგილს ეხება კრებულის შემდგენელთა შენიშვნა: „აქ ავტორი ცდება. აღნიშნული ადგილიდან მცირე უშბა არა ჩანს, მით უფრო მარცხნივ, იგი დიდი უშბიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთითაა. დ. მიქელაძე ალბათ მაზერზე მიუთითებს, ხოლო თუ მხარი ექცა და „მარჯვენის“ ნაცვლად „მარცხნივ“ დაწერა, მაშინ გულბა იქნება“.

დ. მიქელაძეს არც მხარი შეცვლია და არც „მარჯვენა-მარცხენა“ არევია ერთმანეთში.

1868 წელს, როცა ინგლისელი მთამსვლელი დუგლას ფრეშფილდი იალბუზზე ასვლის შემდეგ მოგზაურობას განაგრძობდა სვანეთში, მას თან ახლდა ბალყარელი მეგზური ახია სოთაევი. როცა ისინი ბეჩოს ზეკარზე გადმოსვლის შემდეგ მდ. დოლრის ხეობაში მოსვდნენ, დ. ფრეშფილდი დაინტერესდა უცნობი გარემოთი და ცდილობდა ყოველი ადგილი აღენიშნა თავის დღიურში. ახია სოთაევი შეძლებისდაგვარად უსსნიდა ადგილობრივ სახელწოდებებს.

— „ეს რა არის, რა ჰქვია ამას?“ — ჰკითხა ახიას ფრეშფილდმა და ხელით იმ მასივისკენ მიუთითა, რომელიც უშბიდან სამხრეთ-დასავლეთით გამოდის და ადგილობრივი მცხოვრებნი ხოხრა უშბას ეძახიან ძველთაგანვე. ამ მასივზე ძალიან მაღლა ადის ტყის ზოლი. ახიამ იფიქრა, ალბათ ტყეზე მეკითხებაო, რადგან მანამდე ფრეშფილდს მისთვის უშუალოდ ტყის ჯიშების შესახებ მიუცია შეკითხვები. „მეზრ“ — მოკლედ უპასუხა ახიამ. „მეზრ“ ბალყარულად ტყეს ნიშნავს, დ. ფრეშფილდმა მაშინვე ჩაიწერა ეს სიტყვა ჯიბის წიგნაკში. მოგვიანებით, როცა გამოიცა მისი წიგნი „ცენტრალური კავკასიონი, ბაქსანის ხეობა“, თანდართულ რუკაზე მწვერვალი, რომელიც დიდ უშბის სამხრეთ-დასავლეთ გაგრძელებაზე მდებარეობს და ადგილობრივი მცხოვრებნი ხოხრა უშბას ეძახიან, აღნიშნული იყო სახელით „მაზერი“.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება.

1931 წლის 7 სექტემბერს ხოხრა-უშბაზე პირველი ასვლა მოაწყვეს დ. მიქელაძის ძმამ შ. მიქელაძემ და ალპინისტ კვიციანმა. შ. მიქელაძე „პროლეტარული ტურისტის“ 1932 წლის მე-2 და მე-3 ნომრებში გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნავდა:

...„ავედით ხოხრა უშბის ჯერ აუსვლელ კლდოვან მწვერვალზე (და არა მაზერზე) და იქვე მიუთითებდა: ეს მწვერვალი სოფელ მაზერის თავზეაო.

ამის შემდეგ სხვადასხვა ავტორთან ვკითხულობთ: ხოხრა უშბა, ანუ მაზერი. შემდეგ ხოხრა უშბა თანდათან გაქრა და შემოგვრჩა „მაზერი“. ხოხრა უშბა დიდი უშბიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მწვერვალს დაარქვეს, რომელსაც ალბათ ასევე დაკარგული აქვს თავისი ნამდვილი სახელი.

როგორც დავინახეთ, დ. მიქელაძე არ ცდება. მან თავის დღიურში ჩაინიშნა ის, რაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უთხრეს.

ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. დაეუბრუნოთ კუთვნილი სახელი მწვერვალ ხოხრა უშბას. თავის მხრივ, დაკარგული სახელი უნდა მოვუძებნოთ დიდი უშბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მწვერვალს, რომელსაც დღეს ხოხრა უშბას ეძახიან.

ი. ხაბულიანი.

„მორგენლის დღე“

მაიაკოვსკის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლამ მოსწავლეთა შორის მძლეოსნობის შემდგომი განვითარების მიზნით მოაწყო „მორბენლის დღე“, რომელიც ამიერიდან ტრადიციად დამკვიდრდება და ყოველი წლის შემოდგომაზე გაიმართება.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა რვაწლიანი და საშუალო სკოლების 135 მოსწავლე.

62 მოსწავლემ შეასრულა მოზარდთა I, II და III თანრიგების ნორმატივები.

საშუალო სკოლების გუნდებს შორის გაიმარჯვა ე. ნინოშვილის სახელობის სკოლის კოლექტივმა — 1078 ქულა. II ადგილი დაიკავა დიმის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა — 1020. მესამე იყო ფერსათის 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრები — 1003.

რვაწლიან სკოლებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: დიმის (482), წითელხევის მე-2 (432), მაიაკოვსკის (418) სკოლები.

ნ. ცინცაძე,
მაიაკოვსკის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი, სპორტის ოსტატი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

20 დეკემბერს

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლში (ჩოდრიშვილის ქ. № 8) ჩატარდება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს V პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს II პლენუმის დადგენილების — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის დანერგვისა და ნიშნოსანთა მომზადების მდგომარეობის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა. 2. ინფორმაცია ცენტრალური საბჭოს IV პლენუმიდან V პლენუმამდე პრეზიდიუმის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფილოლოგიური განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჟადრკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამოშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.